წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №1

ქ.წალენჯიხა

2022 წლის 01 თებერვალი

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე: კორნელი სალია

საკრებულოს 27 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, დავით ბელქანია, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, ბესიკ ფარცვანია,ზაზა უბილავა, ნანა კეკუა, სოლომონ სარია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე.

ასევე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ხარჩილავა, მერის მოადგილეები: ლაშა ზარქუა, თამარ ბელქანია, საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა : დათა კუკავა, ნანა ლემონჯავა.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13:25 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ სხვა შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი **გიორგი ხარჩილავა,** მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელი **ბაჩანა ქანთარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „ **წალენჯიხის მუნიციპალიტეტისმერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მომხსენებელი **ჯემალ ბელქანია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

3. „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი **ბაჩანა ქანთარია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4.სხვადასხვა

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ გააკეთა განცხადება. მან მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს უზრუნველყოს ყველა საკრებულოს სხდომის პირდაპირ ეთერში ტრანსლაცია, რათა საკრებულოს სხდომები იყოს ყველსთვის ღია.

მოისმინეს : 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ხარჩილავამ, ხოლო თანამოხსენება გააკეთა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრებმა თენგიზ ფიფიამ და დავით ბელქანიამ აღნიშნეს, რომ ფაქცია „ქართული ოცება-დემოკრატიული საქართველო" ამ ეტაპზე არ დაუჭერს მხარს 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას, არის გარკვეული მუხლები, სადაც თანხებია გასაზრდელი, ეს ეხება სოციალურ პროგრამებს და სახელფასო ფონდს.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ როგორც კი ბიუჯეტი დამკიცდება, უახლოეს პერიოდში დაიწყება მუშაობა აღნიშნული შენიშვნებზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ღია კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 15 დეპუტატი, წინააღმდეგი - 8, დავით ბელქანია, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, ბესიკ ფარცვანია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა, სოლომონ სარია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 2).

მოისმინეს: 2. „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი-1 დავით ბელქანია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N3).

მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ.

საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი-1 დავით ბელქანია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N4).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**